

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3-4
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება--	5-6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7-8
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი -----	9-10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	11-26

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის უწყისი			
		12/31/2023	1/1/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	871,688	1,096,254
		871,688	1,096,254
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	34,290	134,814
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,195,585	1,927,888
მარაგები	7	105,304	73,304
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	8	459,651	352,557
		1,794,830	2,488,563
მთლიანი აქტივები		2,666,518	3,584,817
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(817,505)	(1,720,648)
		(817,505)	(1,720,648)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	2,063,441	2,111,706
		2,063,441	2,111,706
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	117,570	115,778
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	1,177,459	3,001,635
საგადასახადო ვალდებულებები	12	92,773	43,797
გადასახდელი პროცენტი	13	32,780	32,550
		1,420,582	3,193,760
მთლიანი ვალდებულებები		3,484,023	5,305,466
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,666,518	3,584,817

TRUE

TRUE

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი ----- რეზო კვირიკაშვილი

შპს რუსთაველი პოლიდინგ სინემას

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის უწყისი			
		12/31/2023	1/1/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	871,688	1,096,254
		871,688	1,096,254
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებელი ინსტრუმენტები	5	34,250	134,814
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მართვები	6	1,195,585	1,927,888
პირადები	7	105,304	71,304
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	8	459,651	352,557
		1,794,830	2,488,563
მთლიანი აქტივები		2,666,518	3,584,817
მთლიანი კაპიტალი			
გაუნარილებელი მოგება / (დაკრედიტო "ზარალი")		(817,505)	(1,720,648)
		(817,505)	(1,720,648)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	2,063,441	2,111,706
		2,063,441	2,111,706
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	117,570	115,778
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	1,177,459	3,001,635
საკადასრულო ვალდებულებები	12	92,773	43,797
გადასახდელი პროცენტი	13	32,760	32,550
		1,420,562	3,193,760
მთლიანი ვალდებულებები		3,484,023	5,305,466
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,666,518	3,584,817
		TRUE	TRUE

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი ს. კოსიკაშვილი რეზო კვირიკაშვილი

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მოგება - ზარალის ანგარიშგება			
		12/31/2023	31/12/2022
ამონაგები	14	5,912,376	4,554,066
თვითღირებულება	15	(543,666)	(512,590)
საერთო მოგება		5,368,710	4,041,476
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(2,094,598)	(1,813,137)
მიწოდების დანახარჯები	17	(2,154,483)	(1,802,136)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(91,135)	516,628
სხვა ხარჯები	19	(10,365)	(43,117)
საოპერაციო მოგება		1,018,129	899,714
ფინანსური შემოსავალი	20	107,094	107,094
ფინანსური ხარჯი	21	(225,207)	(209,773)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(118,113)	(102,678)
მოგება დაბეგვრამდე		900,016	797,036
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		900,016	797,036
მთლიანი სრული შემოსავალი		900,016	797,036

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი----- რეზო კვირიკაშვილი

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარიში)

მოგება - ზარალის ანგარიშგება			
		12/31/2023	31/12/2022
ამონაგები	14	5,912,376	4,554,066
ავიტირებულება	15	(543,666)	(552,590)
საერთო მოგება		5,368,710	4,001,476
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(2,094,598)	(1,813,137)
მიწოდების დასახარჯები	17	(2,154,443)	(1,802,136)
სხვა მუშაობების/ზარალი - წმინდა	18	(91,115)	516,028
სხვა ხარჯები	19	(10,365)	(43,117)
საოპერაციო მოგება		1,018,129	899,714
ფინანსური შემოსავალი	20	167,094	167,094
ფინანსური ხარჯი	21	(225,207)	(269,775)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(118,113)	(102,678)
მოგება დაბეგრამდე		900,016	797,036
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		900,016	797,036
მოდიფიკაცია სრული შემოსავალი		900,016	797,036

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი ს. ყვინიძე რეზო კვირიკაშვილი

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	(1,720,648)	(1,720,648)
წმინდა მოგება	-	-	900,016	900,016
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	900,016	900,016
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	3,127	3,127
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	(817,505)	(817,505)

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი----- რეზო კვირიკაშვილი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

დირექტორი: ს. კახიძე რეზო კვირიკაშვილი

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფულადი სახსრების მოძრაობა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2023	2022
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(100,554)	124,546
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(100,554)	124,546
სავალუტო კურსის ეფექტი	30	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	134,814	10,268
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	34,290	134,814

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი----- რეზო კვირიკაშვილი

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფულადი სახსრების მოძრაობა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

	2023	2022
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(100,554)	124,546
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ბრუნდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულადი და ფულის ეკვივალენტებში	(100,554)	124,546
საბალანსო ვარიანტის ეფექტი	30	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	134,814	10,268
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	34,290	134,814

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი ს. ციხიშვილი რეზო კვირიკაშვილი

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2014 წლის 20 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ინგოროყვას ქ. №21.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია ბესიკ აბესაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფილმების ჩვენება და სარეკლამო მომსახურება.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარებში), რომელიც წარმოადგენს კომპანიის წარსადგენ და სამუშაო ვალუტას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. ჯგუფის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2022 და 2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, 2023 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2022 და 2023 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა მასზე საკუთრების უფლება.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება, როდესაც ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ, მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლებიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად (რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2017 წლის 1 იანვრიდან შემოღებული ცვლილებით, რომელიც გულისხმობს მიღებული ავანსების დღგ-ით დაბეგვრას).

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული

მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

იჯარა

საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

სხვადასხვა დანადგარები	5-10	წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10	წელი
ელ.მოწყობილობები	5-10	წელი

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში.

სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შენიშვნა 4

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 01 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

01 იანვარი 2022	531,181	209,436	493,605	3,001	1,237,223
შემოსვლა	-	53,447	39,815	-	93,262
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	531,181	262,883	533,420	3,001	1,330,485
31 დეკემბერი 2022					-
პერიოდის ცვლა	(83,760)	(56,301)	(93,636)	(533)	(234,230)
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	447,421	206,582	439,784	2,468	1,096,255
01 იანვარი 2023	447,421	206,582	439,784	2,468	1,096,255
შემოსვლა	-	33,727	6,216	-	39,942
გასვლა	-	(2,538)	(16,480)	-	(19,018)
31 დეკემბერი 2023	447,421	237,771	429,519	2,468	1,117,180
პერიოდის ცვლა	(83,760)	(66,324)	(94,874)	(533)	(245,491)
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	363,661	171,447	334,645	1,935	871,688

ცვლის მეთოდი - წრფივი

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ დანადგარის გასხვისებით მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 5

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 01 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		2023		2022
შეზღუდული ფული*			1,993.94	3,167.00
ფული სალაროში			1,152.31	1,818.00
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში			31,143.47	129,829.00
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში			-	-
სულ		-	34,289.72	134,814

*შეზღუდული ფული წარმოადგენს თანხას, რომელიც ჯერ არ არის ასახული საბანკო ანგარიშებზე (ტერმინალებზე განხორციელებული ოპერაციები).

შენიშვნა 6

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2023 წლის 01 იანვრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		2023		2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო		459,235		1,191,423
გადახდილი ავანსები		106,383		106,498
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი		629,967		629,967
სულ		1,195,585		1,927,888

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი - შენიშვნა 23

გადახდილი ავანსები (105,864 ლარი) მოიცავს იჯარის ხელშეკრულებაში შეტანილ პირობას, რომლის თანახმადაც მოიჯარე მეიჯარეს წინასწარ უხდის ერთი თვის იჯარის ღირებულებას ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს ერთი თვისა და მეიჯარეს შეუძლია დეპოზიტზე არსებული თანხა გამოიყენოს გადაუხდელი ვალდებულებების დასაფარად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ხელშეკრულების პირობის მიხედვით თანხის ეს რაოდენობა მუდმივად უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, თუ მოხდება თანხის ოდენობის შემცირება სხვადასხვა დავალიანების დაფარვის მიზნით, მოიჯარე ვალდებულია აღადგინოს დეპოზიტის თავდაპირველი ოდენობა. რაც შეეხება გადახდილი ავანსების დარჩენილ თანხას (106383-105864=519) წარმოადგენს სტანდარტულ მოთხოვნა/მიწოდების პირობებში წარმოქმნილ საავანსო თანხას, რომელიც რეალიზებულია მიმდინარე წელს.

შენიშვნა 7

მარაგი

მარაგები 2023 წლის 01 იანვრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
	105,304	73,304
მზა პროდუქცია		
სულ	105,304	73,304

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 543,666 ლარი. მიმდინარე პერიოდში მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 8

მისაღები დივიდენდები და პროცენტები

მისაღები პროცენტები 2023 წლის 01 იანვრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მისაღები პროცენტები	459,651	352,557
სულ	459,651	352,557

შენიშვნა 9-10-13

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები 2023 წლის 01 იანვრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	2,063,441	2,111,706
სხვა გრძელვადიანი სესხი	0	
	2,063,441	2,111,706
მოკლევადიანი		
სხვა მოკლევადიანი სესხები	117,570	115,778
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		
მოკლევადიან სესხებზე გადასახდელი პროცენტი	32,780	32,550
	150,350.00	148,328
სულ სესხები	2,213,791	2,260,034

სხვა მოკლევადიანი სესხები - შენიშვნა 24

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2026 წლის 24 დეკემბერი. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 11% (2022 წელს 7.6%). გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

შენიშვნა 11

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 01 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	1,177,459	3,001,635
მიღებული ავანსები	0	0
სულ	1,177,459	3,001,635

შენიშვნა 12

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2023 წლის 01 იანვრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ქონება	(1,828)	(2,691)
საშემოსავლო გადასახადი	143	335
გადახდილი დღგ	(590)	(47)
ერთიანი კოდი	62,397	46,200
საკენსიო	32,651	
სულ	92,773	43,797

შენიშვნა 14

ამონაგები

	2023
საქონლის გაყიდვა	1,553,331
მომსახურების გაწევა	4,359,045
სულ	5,912,376

შენიშვნა 15

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მიმდინარე წელს შეადგენს 543,666 ლარს, რომელიც დაკავშირებულია საქონლის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებთან. მარაგის თვითღირებულების შეფასების მეთოდად გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.

შენიშვნა 16

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2023
საგადასახადო ორგანიზაციის მიერ ჩამოწერილი საქონელი	334
შრომის ანაზღ. და საკომისიო გასამრჯელო	16
შრომის ანაზღაურება	423,284
საკანცელარიო ხარჯი	285
ბანკის საკომისიო	39,549
საპენსიო შენატანი	8,439
მიმდინარე რემონტი	41,080
მომსახურება	295,617
საიჯარო ქირა	454,462
საკანცელარიო ხარჯი	1,208
კომუნიკაციის ხარჯები	5,806
დაზღვევა	27,091
კომუნალური გადასახადი	245,941

საავტოროები	3,819
ცვეთა და ამორტიზაცია	245,490
ნათურები	58,434
ონლაინ გაყიდვების საკომისიო	176,873
ქონება	9,840
სხვა საერთო ხარჯი	23,512
სამეურნეო ხარჯი	33,519
სულ	2,094,598

შენიშვნა 17

მიმდინარე წლის მიწოდების დანახარჯები შეადგენს 2,154,483 ლარს, რომელიც მოიცავს კომპანიის ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ მიწოდების დანახარჯებს (რეკლამის ხარჯები, ფილმების გახმოვანების დანახარჯები და ა.შ.) დაკავშირებულია მომსახურების გაწევიდან მიღებულ ამონაგებთან.

შენიშვნა 18

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

2023

საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	71,675
სხვა საგადასახადო ხარჯი	19,460
სულ	91,135

შენიშვნა 19

სხვა ხარჯები/შემოსავლები

2023წ.

მოგების გადასახადი	3,434
საურავები	6,931
სულ	10,364

შენიშვნა 20-21

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური დანახარჯები	2023
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(225,207)
სულ ფინანსური დანახარჯები	(225,207)
ფინანსური შემოსავალი	
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	107,094
სულ ფინანსური შემოსავალი	107,094
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(118,113)

შენიშვნა 22

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად გადასახადების გარეშე	27,500

შენიშვნა 23

ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ საწარმოებზე გაცემული სესხი	2023 წელი
საწყისი ნაშთი	629,967.00
პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხები	-
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	-
დარიცხული პროცენტის საწყისი ნაშთი	352,557.00
დარიცხული პროცენტი	107,094.00
მიღებული პროცენტი	-
სულ პერიოდის ბოლოს	1,089,618.00

ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფ საწარმოებზე გაცემულია სესხი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთია 17%.

შენიშვნა 24

ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ საწარმოებიდან მიღებული სესხი	2023 წელი
საწყისი ნაშთი	115,778.00
შემცირება	(17,617.00)
ზრდა	19,409.00
დარიცხული პროცენტის საწყისი ნაშთი	32,550.00
დარიცხული პროცენტი	13,647.00
დაფარული პროცენტი	(13,417.00)
სულ პერიოდის ბოლოს	150,350.00

ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფ საწარმოებზე გაცემულია სესხი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთია 17%.

შენიშვნა 25

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია:

	2023
მომსახურების და საქონლის რეალიზაცია	
ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	3,790,440.00
სულ	3,790,440.00
ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსგან საქონლის და მომსახურების შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით.	

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	2023
მომსახურების და საქონლის შესყიდვა	
ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოდან	2,640,580.00
სულ	2,640,580.00
ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსგან საქონლის და მომსახურების შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით.	

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2024 წლის 31 აგვისტოს.